პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, შოთა მიქატაძის ქუჩისთვის სპორტსმენის, ფეხბურთელ სერგო კოტრიკაძის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, შოთა მიქატაძის ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენის, ფეხბურთელის სერგო კოტრიკაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


0.02 ha²
1 : 24

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეკატერინე ჩანადირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032527436**
თარიღი: **01/10/2025**

როგორც მოგეხსენებათ, "ქ. თბილისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად დაუშვებელია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთი ტიპის გეოგრაფიული ობიექტებისთვის იდენტური (დუბლირებული) სახელწოდების არსებობა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, გეოგრაფიული არეალების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ გლდანისა და ნაძალადევის რაიონებში არსებობს შოთა მიქატაძის სახელობის ორი ქუჩა, კომისიაში დაცული დოკუმენტური მასალის შესწავლით დგინდება, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია მოქანდაკე შოთა მიქატაძეზე.

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილთან არსებული შ. მიქატაძის ქუჩის სახელის ცვლილებას. ხსენებული ქუჩისთვის მისანიჭებელი ახალი სახელის შერჩევის პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოკვლეული იქნა ქუჩის წარმოშობის ისტორია და იქ არსებული ინფრასტრუქტურა. დგინდება, რომ ქუჩაზე ფუნქციონირებს თბილისში ერთ-ერთი მასშტაბური საფეხბურთო კომპლექსი, ე.წ. "ამერი", შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციით კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის მერია სრულად მოახდენს კომპლექსის რეაბილიტაციას და პროფილის შესაბამისად აქტიურ ფუნქციონირებას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საჭიროდ მიიჩნევს გლდანის რაიონში არსებული შოთა მიქატაძის ქუჩისთვის ფეხბურთის სფეროს წარმომადგენლის სახელის მინიჭებას, ქართველი ფეხბურთელების ბიოგრაფიული მონაცემების დამუშავების შემდგომ შერჩეული იქნა, სერგო კოტრიკაძის სახელი, რომელმაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 261 მატჩი. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1964), სამგზის (1959, 1962,

1967) ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასის ფინალისტი (1960) თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. საბჭოთა კავშირის წლის საუკეთესო მეკარე (1962). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1969). ღირსების ორდენის კავალერი.

1964 წლის 18 ნოემბრის „ოქროს მატჩის“ მონაწილე.

გარდაიცვალა 2011 წლის 3 მაისს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, გულის შეტევით. ამ დროს ის საქართველოს 15-წლამდე ნაკრებს „ლენარტ იოჰანსონის თასი 2011“-ის გათამაშებაზე ახლდა, როგორც სამწვრთნელო შტაბის წევრი

გთხოვთ, სახელდებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527449**
თარიღი: **01/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგანტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, "ქ. თბილისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად დაუშვებელია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთი ტიპის გეოგრაფიული ობიექტებისთვის იდენტური (დუბლირებული) სახელწოდების არსებობა.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, გეოგრაფიული არეალების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ გლდანისა და ნაძალადევის რაიონებში არსებობს შოთა მიქატაძის სახელობის ორი ქუჩა, კომისიაში დაცული დოკუმენტური მასალის შესწავლით დგინდება, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია მოქანდაკე შოთა მიქატაძეზე. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილთან არსებული შ. მიქატაძის ქუჩის სახელის ცვლილებას და ფეხბურთის სფეროს წარმომადგენლის სერგო კოტრიკაძის სახელის მინიჭებას
გთხოვთ შისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ შოთა მიქატაძის ქუჩის (შემდგომში სერგო კოტრიკაძის ქუჩა) სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სერგო კოტრიკაძე

(1936-2011)

ქართველი და საბჭოთა ფეხბურთელი, მეკარე. საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

იცავდა თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოსა" და საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ღირსებას.

თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფარგლებში პირველად 1957 წლის 6 აპრილს, საკავშირო პირველობის პირველი ტურის კალენდარულ მატჩში, მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ გამოვიდა მინდორზე. თბილისელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ჩოხელი, გივი ხოჭოლავა, ავთანდილ ღოღობერიძე (მოსე დავარაშვილი 52'), ვლადიმერ რამიშვილი, ბორის ხასაია, კონსტანტინე გაგნიძე, ალექსანდრე კოტრიკაძე, შოთა იამანიძე და ავთანდილ ჭკუასელი. დაპირისპირება მოსკოველთა გამარჯვებით, ანგარიშით — 2–1 დამთავრდა.

თბილისის „დინამოს" მაისურით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფარგლებში ბოლოჯერ 1970 წლის 25 აპრილს, საკავშირო ჩემპიონატის მე-8 ტურის კალენდარულ მატჩში, ლენინგრადის „ზენიტის" წინააღმდეგ ითამაშა. თბილისელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ: სერგო კოტრიკაძე (თამაზ სტეფანია 70'), ფირუზ კანთელაძე, ვახტანგ რეხვიაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა გავაშელი, ბესარიონ მჭედლიშვილი, ლევან ნოდია (ალექსი ილიადი 75'). შეხვედრა ფრედ, ანგარიშით — 1–1 დამთავრდა.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 261 მატჩი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1964), სამგზის (1959, 1962, 1967) ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასის ფინალისტი (1960) თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. საბჭოთა კავშირის წლის საუკეთესო მეკარე (1962). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1969). ღირსების ორდენის კავალერი. იყო 1964 წლის 18 ნოემბრის „ოქროს მატჩის" მონაწილე.

გარდაიცვალა 2011 წლის 3 მაისს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, გულის შეტევით. ამ დროს ის საქართველოს 15-წლამდე ნაკრებს „ლენარტ იოჰანსონის თასი 2011"-ის გათამაშებაზე ახლდა, როგორც სამწვრთნელო შტაბის წევრი.